განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი
15 სექტემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

2 ნოემბერი 2020

თბილისი 2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მენეჯმენტი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (Bachelor of Business Administration in Management) |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ბიზნესის ადმინისტრირება 0413 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, გადაწყვეტილების ნომერი #122, თარიღი 14/09/2018 |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა გეგეშიძე/საქართველოს უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მერაბ ხოხობაია/ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან ქავთარაძე/ დიჯიბი ჰოლდინგი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიკო შარაბიძე/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მენეჯმენტის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2 წლის ვადით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 14 სექტემბრის #122 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამის განვითარებაში ჩართული პირების *მიერ* ***სრულად იყო გათვალისწინებული.*** კერძოდ:

- შეფასებაზე წარმოდგენილ პროგრამაში დაკორექტირდა მიზანი და სწავლის შედეგები. მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მოხდა მიზნის ფორმულირების დაკონკრეტება მენეჯმენტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე. სწავლის შედეგები დაკონკრეტდა დარგის მოთხოვნებისა და სპეციფიკის შესაბამისად და აღწერს იმას თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გააიზროს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ.
- სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა: „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით“ - მე-3 სემესტრი; „საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში“ - მე-4 სემესტრი; „პროექტის მართვა“ - მე-6 სემესტრი; „ოპერაციათა მენეჯმენტი და ბიზნეს მოდელირება“ - მე-7 სემესტრი;
- სასწავლო კომპონენტები: „პრაქტიკა“, „საბაკალავრო ნაშრომი“, „ბიზნესის კვლევის საფუძვლები“, „ლოჯისტიკა“ გახდა სავალდებულო კომპონენტები;

- არჩევითი სასწავლო კურსს „კორპორატიული კომუნიკაცია" შეეცვალა დასახელება და როგორც „ბიზნეს კომუნიკაცია" გახდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი;
- სასწავლო კურსს „ტურიზმის საფუძვლები" შეეცვალა სავალდებულო კურსის სტატუსი არჩევითად. ასევე არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა :"ფსიქოლოგია", „ფინანსური აღრიცხვა", „მარკეტინგის მენეჯმენტი", „მენეჯერული ფინანსები II";
- არჩევითი სასწავლო კურსს „კორპორატიული კომუნიკაცია" შეეცვალა დასახელება და როგორც „ბიზნეს კომუნიკაცია" გახდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - მე-3 სემესტრი; არჩევითი სასწავლო კურსი "ბიზნესის კვლევის საფუძვლები" გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი - მე-6 სემესტრი; „ლოჯისტიკა" გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი - მე-6 სემესტრი; სასწავლო კურსს „ტურიზმის საფუძვლები" შეეცვალა სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი და პროგრამაში შევიდა როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. საბაკალავრო ნაშრომი გახდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტი.

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები – 174 კრედიტი (აქედან ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 86, მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 71 კრედიტი, პრაქტიკა - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი)
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის არჩევითი სასწავლო კურსები – 15 კრედიტი
- თავისუფალი კრედიტები/დამატებითი სპეციალობა – 51 კრედიტი

მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი გამართა 2020 წლის 15 სექტემბერს. ონლაინ რეჟიმში „ZOOM.us" პროგრამული უზრუნველყოფით, მიმდინარე COVID-19 დაკავშირებული შეზღუდვების გამო. პროგრამული მხარდაჭერა და პროცესის ინფორმაციული მართვა განხორციელდა „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ.

2020 წლის 14 სექტემბერს განხორციელდა აკრედიტაციის ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პირველადი მიგნებების შესახებ. დღის განრიგის მიხედვით შეიმუშავეს კითხვები და მოინიშნეს დასაზუსტებელი საკითხები, რომელიც წარმოდგენელი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთებოდა.
აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 15 სექტემბერს 10:00-დან 18:30 საათამდე. სააკრედიტაციო ონლაინ ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულად, წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის პერიოდში იყო პროფესიული ურთიერთანამშრომლობითი და საქმიანი გარემო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მენეჯმენტის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის კარგი იქნება თუ, პროგრამა მეტად დაიტვირთება: კრიზისული მენეჯმენტის, ბიუჯეტირების და ბიზნეს სამართლის საკითხებით; თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში, როდესაც არაპროგნოზირებადად იცვლება კომპანიის როგორც მაკრო, და შესაბამისად მიკრო გარემოც, ძალიან მნიშვნელოვანი ხდება მენეჯერებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი გადაწყვეტილების მისაღებად ჰქონდეთ საგადასახადო სამართლის, შრომის სამართლის, კომპანიის ბიუჯეტის დაგეგმვა/მართვისა და კრიზისულ, ცვალებად გარემოში (კრიზისული, რისკ მენეჯმენტი) სწრაფად ადაპტაციის საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა ანიჭებს ხარისხს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ და კარგად არის წარმოდგენილი, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ასევე, მენეჯმენტის საგნები, რომელიც პროგრამის ავტორს კომპლექსურად აქვს დანახული.

სასწავლო კურსი „მეწარმეობა“, ისწავლება თანამედროვე მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებში „მეწარმეობის კომპეტენციების“ გამომუშავებას, „სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩოს“ (EU SCIENCE HUB) მიხედვით, რაც მომავალი მენეჯერისათვის ერთ-ერთი მთავარი კომპეტენციაა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აღსანიშნავია, რომ მოცემული განახლებული პროგრამის ფარგლებში სრულიად არის გათვალისწინებული 2018 წლის 14 სექტემბრის „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ“ დასკვნების ყველა რეკომენდაცია და რჩევები. კერძოდ:

- შეფასებაზე წარმოდგენილ პროგრამაში დაკორექტირდა მიზანი და სწავლის შედეგები. მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მოხდა მიზნის ფორმულირების დაკონკრეტება მენეჯმენტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე. სწავლის შედეგები დაკონკრეტდა დარგის მოთხოვნებისა და სპეციფიკის შესაბამისად და აღწერს იმას თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ.
- სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა: „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით“ - მე-3 სემესტრი; „საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში“ - მე-4 სემესტრი; „პროექტის მართვა“ - მე-6 სემესტრი; „ოპერაციათა მენეჯმენტი და ბიზნესმოდელირება“ - მე-7 სემესტრი;
- სასწავლო კომპონენტები: „პრაქტიკა“, „საბაკალავრო ნაშრომი“, „ბიზნესის კვლევის საფუძვლები“, „ლოჯისტიკა“ გახდა სავალდებულო კომპონენტები;

- არჩევითი სასწავლო კურსს „კორპორატიული კომუნიკაცია“ შეეცვალა დასახელება და როგორც „ბიზნეს კომუნიკაცია“ გახდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი;
- სასწავლო კურსს „ტურიზმის საფუძვლები“ შეეცვალა სავალდებულო კურსის სტატუსი არჩევითად. ასევე არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა :“ფსიქოლოგია“, „ფინანსური აღრიცხვა“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „მენეჯერული ფინანსები II“;
- არჩევითი სასწავლო კურსს „კორპორატიული კომუნიკაცია“ შეეცვალა დასახელება და როგორც „ბიზნეს კომუნიკაცია“ გახდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - მე-3 სემესტრი; არჩევითი სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი - მე-6 სემესტრი; „ლოჯისტიკა“ გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი - მე-6 სემესტრი; სასწავლო კურსს „ტურიზმის საფუძვლები“ შეეცვალა სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი და პროგრამაში შევიდა როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. საბაკალავრო ნაშრომი გახდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტი.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ინგლისურენოვანი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“-ის მიზნები შეესაბამება მისიას და ორიენტირებულია მოამზადოს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და მაღალკონკურენტულ გარემოში კვალიფიციური მენეჯერები, რომელთაც ექნებათ თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში კარგი ადმინისტრატორის, ხელმძღვანელისა და ლიდერისათვის დამახასიათებელი როგორც თეორიული, ასევე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები.<br><br>მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია ფართო ფორმატის მაღალი კომპეტენციის მენეჯერი სპეციალისტის მომზადება, რომელიც საფუძვლიანად ფლობს:<br><br>▪ მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, მეთოდებს.<br>▪ აქვს საერთაშორისო ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში ძირითადი მიმართულებების (საოპერაციო მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ლოჯისტიკა, ადამიანური რესურსები, ბიზნესის მართვა) ურთიერთკავშირის გაცნობიერებას.<br>▪ აქვს ბიზნესის სფეროში მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების ეფექტიანად მართვის ძირითადი პრინციპების ცოდნა.<br>▪ შეუძლია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტის დაგეგმვა და იმპლემენტაცია.<br>▪ შეუძლია ბიზნესის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება, ფლობს რა ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს შესაბამისად შეუძლია როგორც |

მიკრო, ასევე მაკრო ეკონომიკური ანალიზი.

- შეუძლია აკადემიური თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციის უზრუნველყოფა.
- ბაკალავრის მიერ შეძენილი ცოდნა და განვითარების უნარები განაპირობებს სწავლის მაგისტრატურის საფეხურზე გაგრძელების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

მენეჯმენტის პროგრამის მიზნები ითვალისწინებს საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს, უსდ-ს მიერ ჩატარებულმა დასაქმების ბაზრის კვლევამ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა მაღალი კომპეტენცია. პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სტუდენტებისათვის საერთაშორისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მემორანდუმების ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პარტნიორ უნივერსიტეტებში გაიარონ გაცვლითი პროგრამები. სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მაღალი ჩართულობა და სწავლის ხარისხისადმი საერთაშორისო გამოცდილებიდან მიღებული მაღალი კმაყოფილება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მენეჯმენტის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომელიც მიღწევადია, და ამასთანავე თანხვედრაშია შედეგებთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი";
- თვითშეფასების ანგარიში;
- შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მისია, და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან (შესთავაზოს საქართველოს შრომის ბაზარს მაღალკვალიფიციური მენეჯერების კადრი) გამომდინარე კარგი იქნება თუ კი პროგრამა მეტად დაიტვირთება: კრიზისული მენეჯმენტის, ბიუჯეტირების და ბიზნეს სამართლის საკითხებით; თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში, როდესაც არაპროგნოზირებადად იცვლება კომპანიის როგორც მაკრო, და შესაბამისად მიკრო გარემოც, ძალიან მნიშვნელოვანი ხდება მენეჯერებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი გადაწყვეტილების მისაღებად ჰქონდეთ საგადასახადო სამართლის, შრომის სამართლის, კომპანიის ბიუჯეტის დაგეგმვა/მართვისა და კრიზისულ, ცვალებად გარემოში (კრიზისული, რისკ მენეჯმენტი) სწრაფად ადაპტაციის საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>აღსანიშნავია, რომ მოცემული განახლებული პროგრამის ფარგლებში სრულიად არის გათვალისწინებული 2018 წლის 14 სექტემბრის „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ“ დასკვნების ყველა რეკომენდაცია და რჩევები. კერძოდ:<br><br>▪ შეფასებაზე წარმოდგენილ პროგრამაში დაკორექტირდა მიზანი და სწავლის შედეგები. მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მოხდა მიზნის ფორმულირების დაკონკრეტება მენეჯმენტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე. სწავლის შედეგები დაკონკრეტდა დარგის მოთხოვნებისა და სპეციფიკის შესაბამისად და აღწერს იმას თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ. |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>❖ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა „მენეჯმენტი"-ს სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია აღნიშნული პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსები და მათი თემატური სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, და რეალისტური. სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული თითოეული საგნის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნისა და პრაქტიკული უნარებისა მკაფიოდ გამიჯვნას.

<u>**ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა**</u>

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, პროგრამა საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის (ასევე ადმინისტრაციული პერსონალის) და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშავებული აქვს კურიკულუმის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების გეგმა, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების

ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა რომ პროგრამის შედეგები ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს მენეჯმენტის ღრმა, საფუძვლიანი, სისტემური ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები, ამასთან აქვს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ ჩაერთოს კომპანიაში სტრატეგიულ მენეჯერულ გადაწყვეტილებებში.

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია მენეჯმენტის სფეროს აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით, რომელიც დეტალურადაა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. პსშ წარმოადგენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც ექნება მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს.

პროგრამამ უნდა მოამზადოს სპეციალისტი ისე, რომ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობდეს ბიზნესის სფეროს ძირითად თეორიებსა და მეთოდებს, მას უნდა შეეძლოს პროექტის დაგეგმვა-განხორციელება სტრატეგიული და ტაქტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ბიზნეს გარემოს კვლევისა და ანალიზის ღრმა, სისტემურ ცოდნას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებული ღებულობს კვალიფიკაციას „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ და პროგრამაში კარგად არის წარმოდგენილი, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ასევე მენეჯმენტის საგნები, რომელიც პროგრამის ავტორს კომპლექსურად აქვს დანახული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას საბაკალავრო საფეხურზე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს და ამასთანავე, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“;

| |
|---|
| ○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>○ უსდ-ს ვებგვერდი;<br>○ ანგარიში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და აკრედიტაციის საბჭოს და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;<br>○ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>❖ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ❖ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამას „მენეჯმენტი" დადგენილი აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი რომელიმე საგანი: მათემატიკა ან ისტორია. ასევე, აბიტურიენტმა უცხო ენის გამოცდაზე უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარია (50%+1).

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

ჩარიცხვის პირობები და პროცედურები გამჭირვალეა, გამოქვეყნებულია უსდ-ს ვებგვერდზე და საინფორმაციო გვერდებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი";
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

❖ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა „მენეჯმენტი" საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. პროგრამა შემუშავებულია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ანიჭებს ხარისხს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში" და კარგად არის წარმოდგენილი, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ასევე, მენეჯმენტის საგნები, რომელიც პროგრამის ავტორს კომპლექსურად აქვს დანახული. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები – 174 კრედიტი (აქედან ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 86,

| |
|---|
| მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 71 კრედიტი, პრაქტიკა - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი)<br>• ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის არჩევითი სასწავლო კურსები – 15 კრედიტი<br>• თავისუფალი კრედიტები/დამატებითი სპეციალობა – 51 კრედიტი.<br>წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.<br><br>აღსანიშნავია, რომ პროგრამაში სავალდებულო კომპონენტებად წარმოდგენილია პრაქტიკა - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი, რომლებსაც სტუდენტი გადის დამამთავრებელ სემესტრებში (VII ან VIII) .<br>მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს:<br>○ ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;<br>○ პრაქტიკას (პრაქტიკის გავლას, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება-დაცვას);<br>○ საბაკალავრო ნაშრომის მომზადება-დაცვას.<br>სემესტრის განმავლობაში სტუდენტის დატვირთვა შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.<br><br>○ პროგრამის ფარგლებში, პროგრამის სასწავლო გეგმით, განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე (სასწავლო კურსები, საბაკალავრო ნაშრომი, პრაქტიკა) დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;<br>○ მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ ბაზრის კვლევა;<br>○ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.<br>○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის კარგი იქნება თუ, პროგრამა მეტად დაიტვირთება: კრიზისული მენეჯმენტის, ბიუჯეტირების და ბიზნეს სამართლის საკითხებით; თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში, როდესაც არაპროგნოზირებადად იცვლება კომპანიის როგორც მაკრო, და შესაბამისად მიკრო გარემოც, ძალიან მნიშვნელოვანი ხდება მენეჯერებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი გადაწყვეტილების მისაღებად ჰქონდეთ საგადასახადო სამართლის, შრომის სამართლის, კომპანიის ბიუჯეტის დაგეგმვა/მართვისა და კრიზისულ, ცვალებად გარემოში (კრიზისული, რისკ მენეჯმენტი) სწრაფად ადაპტაციის საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პროგრამა ანიჭებს ხარისხს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში" და კარგად არის წარმოდგენილი, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ასევე, მენეჯმენტის საგნები, რომელიც პროგრამის ავტორს კომპლექსურად აქვს დანახული. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| აღსანიშნავია, რომ მოცემული განახლებული პროგრამის ფარგლებში სრულიად არის გათვალისწინებული 2018 წლის 14 სექტემბრის „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" დასკვნების ყველა რეკომენდაცია და რჩევები. კერძოდ:<br><br>▪ სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა: „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით" - მე-3 სემესტრი; „საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში" - მე-4 სემესტრი; „პროექტის მართვა" - მე-6 სემესტრი; „ოპერაციათა მენეჯმენტი და ბიზნესმოდელირება" - მე-7 სემესტრი;<br><br>▪ სასწავლო კომპონენტები: „პრაქტიკა", „საბაკალავრო ნაშრომი", „ბიზნესის კვლევის საფუძვლები", „ლოჯისტიკა" გახდა სავალდებულო კომპონენტები;<br><br>▪ არჩევითი სასწავლო კურსს „კორპორატიული კომუნიკაცია" შეეცვალა დასახელება და როგორც „ბიზნეს კომუნიკაცია" გახდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი;<br><br>▪ სასწავლო კურსს „ტურიზმის საფუძვლები" შეეცვალა სავალდებულო კურსის სტატუსი არჩევითად. ასევე არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა :"ფსიქოლოგია", „ფინანსური აღრიცხვა", „მარკეტინგის მენეჯმენტი", „მენეჯერული ფინანსები II";<br><br>▪ არჩევითი სასწავლო კურსს „კორპორატიული კომუნიკაცია" შეეცვალა დასახელება და როგორც „ბიზნეს კომუნიკაცია" გახდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - მე-3 სემესტრი; არჩევითი სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის საფუძვლები" გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი - მე-6 სემესტრი; „ლოჯისტიკა" გახდა სავალდებულო სასწავლო კურსი - მე-6 სემესტრი; სასწავლო კურსს „ტურიზმის |

საფუძვლები“ შეეცვალა სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი და პროგრამაში შევიდა როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. საბაკალავრო ნაშრომი გახდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტი.

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

❖ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში, წარმოდგენილია ლოგიკური და თანმიმდევრული სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევ პროგრამის სწავლის შედეგს. სწავლის შედეგების რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ, რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით - გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამება კურსის შინაარსს, მიღწევადი და გაზომვადია. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს საჭირო მასალით. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა ეფუძნება დარგში არსებულ უახლეს მიღწევებს. სასწავლო კურსის თემატიკა დაძლევადია და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

სილაბუსებში გამოყენებულია სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდები. სილაბუსებში განსხვავდება შეფასების კომპონენტები, მაგალითად სასწავლო კურსში „ორგანიზაციული ქცევა, შუალედური შეფასებები შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 20 ქულა; ქვიზები - მაქსიმუმ 12 ქულა; სააუდიტორიო აქტიურობა - მაქსიმუმ 18

ქულა; და საშინაო დავალებები - მაქსიმუმ 10. ხოლო სასწავლო კურსში „ბიზნესის კვლევის საფუძვლები" შუალედური შეფასებების კომპონენტებია: შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 20 ქულა; ქვიზები - მაქსიმუმ 24 ქულა; სააუდიტორო აქტიურობა - მაქსიმუმ 10 ქულა; მინი ქეისი – მაქსიმუმ 16 ქულა.

პროგრამაში სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა თანამედროვეა და ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს, მაგალითად საერთაშორისო ბიზნესის მართვა ისწავლება სახელმძღვანელოთი „Hill, Charles W.L., G. Thomas M.Hult, Global Business Today, 10 th ed. Boston: Irwin McGraw- Hill, 2018. „ორგანიზაციული ცვლილება და განვითარება" Managing Corporate Innovation - Determinants, Critical Issues and Success Factors, Adalberto_Rangone, Springer, 2020; ლოჯისტიკა - Paul R. Murphy and A. Michael Knemeyer Contemporary Logistics – International Edition, Pearson, 12th Edition, 2018.

სასწავლო კურსები 4, 5 და 6 კრედიტიანია, წარმოდგენილი დატვირთვა და შედეგები შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან.

აღსანიშნავია, სასწავლო კურსი „მეწარმეობა", ისწავლება თანამედროვე მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებში „მეწარმეობის კომპეტენციების" გამომუშავებას, „სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩოს" (EU SCIENCE HUB) მიხედვით, რაც მომავალი მენეჯერისათვის ერთ-ერთი მთავარი კომპეტენციაა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (პროგრამის განვითარების ანგარიში).
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი";
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- სასწავლო კურსი „მეწარმეობა", ისწავლება თანამედროვე მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებში „მეწარმეობის კომპეტენციების" გამომუშავებას, „სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩოს" (EU SCIENCE HUB) მიხედვით, რაც მომავალი მენეჯერისათვის ერთ-ერთი მთავარი კომპეტენციაა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

❖ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა „მენეჯმენტში“ პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის, სავალდებულო კომპონენტებად წარმოდგენილია პრაქტიკა - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი, რომლებსაც სტუდენტი გადის დამამთავრებელ სემესტრებში (VII ან VIII).

საბაკალავრო ნაშრომის (დაწერისა და დაცვის) მიზანია, სტუდენტებმა შეიძინონ საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევის უნარები; შეძლონ განახორციელონ ლიტერატურის მოპოვება და ანალიზი საკუთარ თემასთან დაკავშირებით, დაგეგმონ იგი, მოახდინონ მოპოვებული ლიტერატურისა და მონაცემების ანალიზი, სინთეზი, შედარება; შეისწავლონ საკვლევი საკითხის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; შესთავაზონ თავისი კვლევის თეორიული და კარგ შემთხვევაში პრაქტიკული შედეგები.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ორ ეტაპად: შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ არის გამოკვეთილი გვერდების ანდა სიტყვების მინიმალური ოდენობა, რომელიც სტუდენტმა უნდა დაამუშაოს. მომზადებული საბაკალავრო ნაშრომის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ შესაძლოა სტუდენტს უფრო მეტი დრო ვიდრე 7 კრედიტით არის გათვალისწინებული დაეთმო ნაშრომისთვის. სასურველია მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესზე შემდგომი დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს კრედიტების ოდენობის გადახედვა.

| |
|---|
| სასწავლო პრაქტიკა პროგრამაში წარმოდგენილია 10 კრედიტის ოდენობით. პროგრამას თან ახლავს პრაქტიკის ანგარიშის ფორმა, რომელიც პრაქტიკის ზედამხედველის მიერ და წარედგინება უნივერსიტეტის პრაქტიკის ხელმძღვანელს. პრაქტიკის შეფასების თანმიმდევრულია, მოიცავს მენტორის შეფასებას და პრაქტიკის დაცვას კომისიის წინაშე.<br><br>სხვადასხვა საგნებში ასევე წარმოდგენილია შეფასების კომპონენტები ანდა აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებას. სასწავლო კურსების ფარგლებში საკმაო მოცულობითაა გამოყენებული პრაქტიკული მეცადინეობები და სამუშაო ჯგუფში მუშობა.<br><br>აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (პროგრამის განვითარების ანგარიში);<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“;<br>○ პრაქტიკის ანგარიშის ფორმა;<br>○ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>მომზადებული საბაკალავრო ნაშრომის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ შესაძლოა სტუდენტს უფრო მეტი დრო დაეხარჯა ნაშრომის შესრულებისთვის ვიდრე 7 კრედიტით არის გათვალისწინებული. სასურველია მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესზე შემდგომი დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში კრედიტების ოდენობის გადახედვა ანდა დამატებითი მაორიენტირებელი რეგულაციის დაწესება, მაგალითად: მინიმუმ 4000 სიტყვა და/ან არაუმეტეს 5000 სიტყვისა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| შეფასება |
|---|
| ㅇ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>❖ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მენეჯმენტის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის სწავლება-სწავლის მეთოდები. რომლებიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა. ხოლო სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით: პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (case study), გონებრივი იერიში (brain storming), დისკუსია / დებატები, სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ), ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, წიგნზე მუშაობა და საშინაო დავალების შესრულება.<br>სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების გამოყენებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის შინაარსი და სპეციფიკა, მოთხოვნები და სასწავლო კურსით მისაღწევი შედეგები. ზოგადად სასწავლო პროცესი სრულად ფოკუსირებულია სტუდენტზე თითოეული სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს, კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.<br>ამასთანავე, ლექტორთან დამატებითი კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დრო და ადგილი, კვირაში 2 საათი თითოეულ სასწავლო კურსში. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მითითებული სასწავლო კურსის სილაბუსებში. საკონსულტაციო |

შეხვედრების განრიგი სასწავლო პროცესის მსვლელობისას საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე.
სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც დასტურდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზით. საჭიროების შემთხვევაში უსდ სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეებს, შემუშავების საფუძვლებსა და პროცედურებს განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (პროგრამის განვითარების ანგარიში);
- თვითშეფასების ანგარიში;
